საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი ივნისის 29
1921 წ.
ფასი 300 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 8
ტელეფონი 12—29

---

ივანე მოსეს-ძე ლორენტი, კოტე და გიორგი დავითის ძე და სოფიო დავითის ასული გვახარიები, თეკლე მოსეს ასული და გიორგი მაქ იმე-ძე ლორენტი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას 27 ივნისს საღამოს 7 საათზე. პირველი—ძვირფასს მეუღლის, მეორენი—საყვარელი დიდის და მესამენი—საყვარელი რძლის ბლმზე დელის

**დარო გრიგოლის-ასულ გვახარია-ლორენტისას**

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე, ცხედარს გაასვენებენ ბინიდგან რუსთაველის პროსპ. № 39 ბ ნა 6 30 ივნისს დილის 9 საათზე ვერაზე ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალავენ ამავე ეკლესიის სასაფლაოზე.

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

**სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილებთანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.**

**ტფილისში რეგისტრაცია იწყება ივნისის 27-ს და დასრულდება ვლისის 1-ს. ამ ვადაში ყოველი წევრი ვალდებულია გამოცხადდეს რეგისტრაციოდ თავის უბანში ქვემოდ დასახელებულ პირთან. (წარდგენილ უნდა იქნეს ძველი პარტიული ბილეთი და შევსებული სარეგისტრაციო ბარათი. ამ ბარათების მიხედვით დაურიგდება წევრებს ხალი ბილეთები).**

ჩაწერა შეიძლება:

1. „ს.-ფ." რედაქციაში—სერ. ამაღლობელთან დილის 9—2-მდე.
2. პარტიის ცენტრალურ ბიუროში—საღამოს 7—10-მდე.
3. ბაზრის უბანში—აგრაფინა იაშვილთან 2—6-მდე (ახალი ბებუთოვის, № 6).
4. მეორე უბანში (მთაწმინდით)—ვანო დუმბაძიანტთან საღამოს 6—8-მდე (ფეოდესიევის ქ. № 44).
5. ვერის უბანში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე. (ოლღას ქ. № 20).
6. ჩუღურეთში—დავ. მელაშვილთან საღამოს 5—7-მდე (ამატუნის ქ. № 21).
7. რკინის-გზის მთავარ სახელოსნოში—გიორგი სოლოღაშვილთან, სახარატო ცეხში დილის 8—2-მდე.
8. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
9. ნაძალადევში—გიორგი სოლოღაშვილთან, სად. 4—6-მდე. (სელეტოვის ქ. № 220).

დანარჩენი უბნებისათვის გამოცხადდება ცალკე.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

---

## ფედერაციაზე შორს.

კომპარტიის ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე ამხ. მიახნიკოვმა განაცხადა: ჩვენ ფედერაციაზე უფრო შორს მივდივართო. ეს განცხადება ორ ნაირად შეიძლება გაგებულ იქნეს.

ჩვენ შეგვიძლიან ცალკე ერებს იმდენად ფართო უფლებები მივანიჭოთ, რომ ისინი, მართლაც, დამოუკიდებელნი გახდენ: ჰქონდეს თავისი ცალკე სახელმწიფო და საკუთარი ძალღონით გაუძღვენ თავიანთ საქმეებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, ფედერაციაზე უფრო შორს მივდივართ, რადგანაც ასეთი ერების პოლიტიკო-სახელმწიფოებრივი კონტაქტი შესაძლებელია არა ფედერაციის—ამ ცნების ჩვეულებრივი მნიშვნელობით—არამედ კონფედერაციის ნიადაგზე.

მეორეს მხრით, ერთა თვითგამორკვევა, რომელიც თეორიაშიც დღეს თითქმის ყველას მიერ არის აღიარებული, შეიძლება ცხოვრებაში ისე მახინჯად გავატაროთ, რომ ფორმალურად დამოუკიდებულ ერს უმაღლო თვით მართველობაც აღარ შერჩეს. ესეც იქნება ფედერაციაზე უფრო შორს წასვლა, ვინაიდან ფედერაცია როგორც ვიცით, ყოველ შემთხვევაში ავტონომიურ ერთეულებს მაინც გულისხმობს. მაშასადამე,

„ფედერაციაზე შორს წასვლა" შეიძლება როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით. მარცხნით წასვლა ნიშნავს ერის ნამდვილი დამოუკიდებლობის აღიარებას, მის ენის, მის კულტურის დაცვას, ეს ნიშნავს ერის ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეხლებლობას.

ფედერაციაზე მარჯვნით წასვლა იქნება უარყოფა ერის თვითგამორკვევის, გაქარწყლება ერის მიერ მოპოებულ უფლებების, ე. ი. ეს იქნება ეროვნულ საკითხში ძველი რეაქციონური მეთოდების განმეორება.

საქართველოში საბჭოთა ძალა უფლების დამყარების პირველ დღეებშივე საქართველოს რევოლუციონურმა კომიტეტმა აღიარა, რომ საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. მაშასადამე, საქართველოს რევკომი პირველი დღიდანვე წავიდა ფედერაციაზე შორს... მარცხნით!.

ეს არის ერთად ერთი გზა. სხვა გზას სოციალისტური მთავრობა, თუ ის თავის თავს არ უღალატებს, ვერ დაადგება, არც უნდა დაადგეს!..

დღეს არავისთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს, რომ ამიერ-კავკასიაში არიან ისეთი ელემენტები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო კომუნიზმთან და რომელთაც რუსეთის გავლენა ამ წინ წაწევა ახარებს არა იმიტომ, რომ ეს არის რევოლუციის გამარჯვება, არამედ იმიტომ რომ ეს არის რუსეთის გამარჯვება.

ეს ელემენტები ყოველ შემთხვევით სარგებლობენ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტიურად გააქარწყლონ. საქართველოს სოციალისტების და უპირველეს ყოვლისა ქართველი კომუნისტების მოვალეობაა წინაღუდგენ ყოველივე იმას, რაც პირდაპირ თუ არა პირდაპირ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება.

ჩვენს საზოგადოებაში დიდს მითქმა მოთქმას და გაუგებრობას იწვევს ის გაერთიანებული ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ხელმძღვანელ წრეებს ამიერ კავკასიის საქმეებში. უკვე გაერთიანებულია რკინის გზები, საგარეო ვაჭრობა, არის ლაპარაკი პროფესიონალური ორგანიზაციების გაერთიანებაზე და სხვ. რა თქმა უნდა რამდენად ყოველივე ეს ხდება მიზანშეწონილების და ძალთა ეკონომიის თვალსაზრისით, რამდენად ყოველივე ამას აქვს ნებაყოფლობითი შეთანხმების ხასიათი, ასეთი გაერთიანების წინა დმდეგ სოციალისტს არაფერი ეთქმის.

არამც თუ სოციალისტებმა, არამედ თვით იმპერიალისტებმაც, რომელთა დევიზი იყო და არის: homo homini lupus est ასეთმა ხალხმაც მსოფლიო ომის დროს შექმნა აუარება საერთო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური სტრატეგიული ხასიათის ორგანიზაციები. მით უფრო ბუნებრივია, როცა მეზობელ სახელმწიფოების სათავეში მდგომი სოციალისტები ერთი მეორეს უახლოვდებიან, ერთი მეორესთან მჭიდრო კავშირს კრავენ. ეს მეტად სასურველი და თან აუცილებელიც არის. მხოლოდ აქ ერთი პირობა უნდა იქნეს აუცილებლად დაცული; გაერთიანება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მის აუცილებელი ატრიბუტების გაუქმება.

რამდენათ უკანასკნელი ხასიათის გაერთიანებას ექნება ჩვენში ადგილი, იმდენათ ყოველი გულწრფელი სოციალისტი და კომუნისტი ვალდებულია ასეთი გაერთიანების წინააღმდეგ გაილაშქროს. მართლადაც, რუმინეთში დღეს რომ კომუნისტური გადატრიალება მოხდეს ნუთუ რუმინეთის კომუნისტები თავიანთ სახელმწიფოს რუსეთს შეუერთებენ?! არც ის არის მოსალოდნელი, რომ რუმინეთის გზები და პროფესიონალური კავშირები რუსეთისას შეუერთონ...

ერთია კავშირი, მეორეა გაერთიანება. რამდენად პირველი არის ჭეშმარიტად ინტერნაციონალური, იმდენად მეორე ჭეშმარიტად შოვინისტური და რეაქციონურია.

ანტინაციონალურ გაერთიანებას ეგრე ინტერნაციონალის სახელით ამართლებს. ეს შემცდარი აზრია. ინტერნაციონალიზმის დამახასიათებელი თვისება არის არა გაერთიანება, არამედ სოლიდარობა. გაერთიანება მექანიკურია, რომელიც არ უწევს ანგარიშს უმცირესობათა ეროვნული ინდივიდუალობას, პირიქით დამახასიათებელია იმპერიალიზმისათვის, მებრძოლი ნაციონალიზმისათვის!..

ამნაირად, საქართველოს გაერთიანება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან და თვით რუსეთთან—ასეთია ერთი უმთავრესი ტენდენცია, რომელიც ახასიათებს საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური ვითარებას. ეს გზა ჩვენში მიჩნეულ იქნა ერთად ერთ ინტერნაციონალურ საშვალებათ მეზობლებთან ნორმალური ურთი ერთობისა და ძმური თანამშრომლობის დასამყარებლად, მაგრამ ამასთანავე ჩვენს ეროვნულს ვითარებას აქვს მეორე მხარე, მეორე ტენდენცია, რომელიც თითქოს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პირველს. მე სახეში მაქვს ის მოვლენები, რომლებიც ხდება ჩვენს განაპირა ოლქებში. მაგალითისათვის საკმარისია ავიღოთ აფხაზეთი. უკანასკნელი სოხუმისა და საქართველოს რევკომების მიერ გამოცხადებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკად. კიდევ მეტი. ამ დღეებში „ვრუკავროსტამ" გვამცნო, რომ საბჭოთა აფხაზეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოში ინიშნება ვინმე აკირტავა. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში საბჭოთა საქართველოც დანიშნავს თავის წარმომადგენელს აფხაზეთში. ამნაირად იქმნება სრულიად ახალი უფლებრივი ურთიერთობა საქართველოსა და აფხაზეთს შორის. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთს თვით მენშევიკების დროსაც არ მოუთხოვია დამოუკიდებლობა. მისი წარმომადგენლების მუდმივი მოთხოვნილება იყო აფხაზეთის ფართო ავტონომია.

როგორც დამახასიათებელი უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას მოითხოვდენ მხოლოდ ისეთი პირები, რომლებიც იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის შეურიგებელი მტრები!..

ამნაირად, ერთის მხრით, გაერთიანება, მეორეს მხრით სეპარაცია, საქართველოს განაპირა ოლქების განცალკევება. ეს ორი პროცესი ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვიცით ორივე პროცესს დირიჟორობს ერთი და იგივე ხელი. აშკარაა, მათ შორის არის რაიმე საერთო და ეს საერთო არის: საქართველოს უარყოფა.

ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია საქართველოს საბჭოთა მთავრობას მივუთითოთ საქართველოს ამ ძირითად-სასიცოცხლო ინტერესებზე, რომ პოლიტიკური ფორმა ჩვენი რესპუბლიკისა გარკვეულად ჩამოყალიბდეს იმ დეკლარაციის მიხედვით, რომლითაც საქ. რევკომი გამოვიდა საქართველოში პირველ დღიდანვე.

 შ.—ძე.

## უნივერსიტეტში.

კვირას 26 ივნისს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელდობრ სამკურნალო ფაკულტეტზე მოხდა საჯარო პაექრობა. დიაგნოსტიურ კლინიკის ასისტენტი მ. წინამძღვრიშვილი იცავდა დისერტაციას შემდეგ თემაზე: მასალები ხონდროიტინ-გოგირდ-მჟავის ქიმიისა და შარდში აღმოჩენის შესახებ მუცლის ტიფის დროს. ეს დღე—26 ივნისი აღსანიშნავია სამკურნალო ფაკულტეტის ისტორიაში, ვინაიდან ამ დღეს მოხდა პირველი დისერტაციის დაცვა, პირველი მნიშვნელოვანი ცდა სამკურნალო მეცნიერებაში. ხორცი უნივერსიტეტი, მისი სამკურნალო ნაწილი ზეიმით შეხვდა ამ დღეს. აუდიტორია, სადაც სწარმოებდა საზეიმო სხდომა, არ იტევდა ხალხს. პროფესორთა კრებული, ასისტენტები და ორდინატორები, სტუდენტობა და გარეშე საზოგადოება ყველა გრძნობდა რომ ამ დღეს ზეიმობდა ხორცი სამკურნალო ფაკულტეტი თავის გაფურჩქვნის დასაწყისს, რომ სამკურნალო მეცნიერება საქართველოს უნივერსიტეტში მტკიცე ნიადაგზე დგება.

ინტერესს არ იყო მოკლებული თვით პროცესი საჯარო პაექრობისა. ოპონენტების გამოსვლა პროფესორების ალადაშვილის, ანდრიმოვის, მაღენიძის და ვირსალაძის სახით, რომელნიც აღნიშნავდენ დისერტანტის მიერ წარმოდგენილ შრომის მნიშვნელობას საერთოთ სამკურნალო მეცნიერებაში, უჩვენებდენ დისერტანტს მის შრომის მაიშვნელოვან და სუსტს მხარეებს.

პაექრობის შემდეგ ფაკულტეტის საბჭომ ერთხმათ მიანიჭა დისერტანტს მედიცინის დოქტორის ხარისხი.

ს. ახლანიშვილი.

## ფარმაცევტიულ განყოფილების შესახებ

ჯანმრთელობის კომისარიატთან არსებობს ფარმაცევტიული განყოფილება, რომლის მოვალეობასაც შეადგენს რესპუბლიკაში ფარმაცევტიული დარგის მოწესრიგება. ეჭვს გარეშეა, ეს დარგი ხალხის ჯანმრთელობისათვის უპირველეს როლს თამაშობს და უმთავრესად მის სასურველად მოწყობაზეა დამოკიდებული ხალხის ჯანმრთელობის საკითხი, ვინაიდან თუ ფარმაცევტული დარგი მოუწყობელია, თუ სახელმწიფოში ფარმაცევტიული ცრუწარმოება ჰქონდა, თუ რესპუბლიკაში ფარმაცევტიული პრეპარატების კრიზისია, ყოველნაირი შრომა ჯანმრთელობის მუშაკთა ფუჭია და ამაო.

ეს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული საფარმაციო დარგის სპეციალისტებს, მათ კარგად ესმოდათ, რომ ამ დარგის განვითარებისათვის საჭიროა, რომ ეს იყოს თავისუფალი და ყველა სხვა მონათესავე დარგებისაგან დამოუკიდებელი; ცდაც იქითკენ იყო მიმართული, რომ საფარმაციო მეცნიერებისათვის მათ ეს თავისუფლება მოეპოვებინათ. ამ ნიადაგზე ფარმაცევტიული დარგის მომუშავეთა მოქმედება ყოველთვის ერთსულოვანი იყო და მათ ბრძოლას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ დარგის განთავისუფლებას ჩვენში ეწინააღმდეგებოდა. კომუნისტი ფარმაცევტები ამ ბრძოლის დროს პირველ რიგებში იდგნენ და მენშევიკური მთავრობისაგან მოითხოვდნენ საფარმაციო დარგის დამოუკიდებლობას; დღეს გვიკვირს საფარმაციო დარგის თავისუფლებისათვის მებრძოლთა სიჩუმე, მაშინ როცა ეს დარგი სრულ არევ-დარევაში გახლდის, როცა უცხო ნაჭუჭშია მოქცეული და მას არა აქვს გასაქანი განვითარებისათვის. ჩვენ ვეკითხებით კომუნისტ ფარმაცევტებს, თუ საფარმაციო მეცნიერების დამოუკიდებლობა საჭირო იყო ძველად ბიუროკრატიული რეჟიმის დროს, შემდეგ რუსეთში ესერ-მენშევიკების ბატონობის დროს, კიდევ შემდეგ საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს, რატომ არ არის ეს დამოუკიდებლობა საჭირო დღეს კომუნისტური ხელისუფლების დროს? რაშია საქმე, ნუ თუ მარტო კომუნისტური გადატრიალება საჭირო იმისთვის, რომ სხვის ნაჭუჭში მოქცეული მეცნიერება განვითარდეს და სასურველი სახე მიიღოს? ჩვენ ვეკითხებით კომუნისტ ფარმაცევტებს კმაყოფილი არიან თუ არა ისინი ჩვენში ფარმაცევტული დარგის მდგომარეობით? შესაძლებლად მიაჩნიათ თუ არა იმათ ამ მდგომარეობაში ფარმაცევტიული მეცნიერების აყვავება-განვითარება? თუ შესაძლებლად მიაჩნიათ მაშინ გვითხ

რან რათ მოითხოვდნენ ისინი წინედ ამ დარგის დამოუკიდებლობას, ხოლო თუ იმათ შეუძლებლად მიაჩნიათ ამ პირობებში ფარმაციის განვითარება მაშინ გვითხრან რა არის მიზეზი მათი სიჩუმისა იმ დროს როდესაც მათ სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს? მოველით მათგან პასუხს.

თავი დავანებოთ ეხლა საკითხის ზოგადათ დაყენებას და შევეხოთ კონკრეტიულად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის საფარმაციო განყოფილებას. არის თუ არა ეს განყოფილება ნაწილი საქართველოში არსებულ კომისარიატისა? რასაკვირველია! თუ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სახელწოდებას, მაშინ ჩვენ უფლება გვეძლევა ვუწოდოთ მას ნაწილი საქართველოს რესპუბლიკის კომისარიატისა, მაგრამ თუ ჩვენ სახელწოდებასთან ერთად გავეცნობით მის შინაარსს მაშინ დავრწმუნდებით, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ღირსების შემლახველია ის გარემოება, რომელიც იქ არის დამკვიდრებული, რომ არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის კომისარიატის ნაწილი უწოდოთ იმ განყოფილებას, სადაც ქართულ ენას სათანადო ადგილი არა აქვს დათმობილი და გაბატონებულია არა სახელმწიფოებრივი უცხო ენა.

ფარმაცევტიულ განყოფილებაში უცხო ენის გაბატონებას მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დიდიხანია მიაქცია ყურადღება და ჯერ კიდევ მაისის 16-ის თარიღით № 23—2888-ით აუწყა განყოფილებას, რომ დაუშვებელია საქმის წარმოება არა სახელმწიფოებრივ ენაზე და გააფრთხილა კიდევაც, რომ უყურადღებოდ იქნება დატოვებული ყველა ის ქაღალდები, რომლებიც შედგენილი იქნება არა სახელმწიფოებრივ ენაზე.

ჩვენ არ ვიცით რით გასცა პასუხი ამ გაფრთხილებას ფარმაცევტიულმა განყოფილებამ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ამის შემდეგ ივნისის ექვსს ჯანმრთელობის კომისარიატის კოლლეგიის სხდომაზე გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: „რადგან ც. ჯანმრთელობის კომისარიატის საპასუხისმგებლო ადგილებზე მსახურებენ სახელმწიფო ენის არ მცოდნე პირები საქმის წარმოება ხდებოდეს რუსულ-ქართულად". და ჩვენ ვკითხულობთ:—ვისი ხელისუფლებაა საქართველოში? საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის, რომლის დადგენილების თანახმადაც საქმის წარმოება საქართველოში ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, თუ ჯანმრთელობის კომისარიატის კოლლეგიის, რომელიც ადგენს, რომ საქმის წარმოება რუსულ-ქართულად ხდებოდეს?

ჩვენ გვესმის, რომ იმ განყოფილებების უფროსებს, რომელთაც ქართული ენა არ ესმით არ შეუძლიათ ხელი მოაწერონ ქართულად დაწერილ ქაღალდს, მაგრამ ჩვენ სხვა ვკითხულობთ: რათ არიან განყოფილებების უფროსებად ისეთი პირები, რომელთაც ქართული ენა არ იციან: ნუ თუ საქართველოში არ არიან ქართული ენის მცოდნე პირები, რომელთაც განყოფილებათა გამგეობა შეეძლოთ, რომ საჭიროდ არ გამხდარიყო რუსეთიდან ქართული ენის უცოდინარი პირების ჩამოყვანა? თუ სტუმართმოყვარეობამ იმდენად უნდა დაგვაბრმაოს, რომ სხვისი ცუდი ჩვენს კარგს ვამჯობინოთ? ვინ დაიჯერებს საქართველოში არ მოიპოვებოდეს გამოცდილი ფარმაცევტი, ქართულ ენის მცოდნე თუ გინდ რომ სხვა ღირსებასთან ერთად კომუნისტობაც იყოს საჭირო, რომელსაც შეეძლოს იზრუნოს ამ დარგის განვითარებისათვის და რომელსაც შეეძლოს ხელი მოაწეროს ქართულად დაწერილ ქაღალდს. რისთვის უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის საფარმაციო განყოფილების სათავეში ქართული ენის უცოდინარი პირი? რისთვის უნდა იხარჯებოდეს მისთვის თარჯიმანის დასაქირავებლად საქართველოს მუშათა და გლეხთა ფულები?

შესაძლებელია, რომ ორ ენაზე საქმის საწარმოებლად შტატები არ გაადიდონ, მაგრამ მაშინ ხომ ფიქცია იქნება რუსულ-ქართულად საქმის წარმოება, მაშინ ხომ ყველა მოსამსახურე იძულებული იქნება დროის ეკონომიის თვალსაზრისით საქმე რუსულად აწარმოვოს და აკი ვხედავთ, რომ ქართული ენა თანდათან ადგილს უთმობს რუსულს, რომ ქართული ენა იქიდან თანდათან იდევნება და ამით ნიადაგი ეცლება საქართველოს რევკომის დადგენილებას ქართული ენის სახელმწიფოებრივობის შესახებ. დრო არის საქართველოს ხელის უფლებმა ყურადღება მიაქციონ ამ ანორმალობას და გამოასწორონ ის. ჩვენ ყოველ ძალებით მდიდარნი ვართ, იმდენად მდიდარნი, რომ არამც თუ შეგვიძლია ჩვენი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, შეგვიძლია სხვებსაც დავახმაროთ ჩვენი ინტელექტუალური ძალები. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ ჩვენთვის უცხო ქვეყნის სპეციალისტები საჭირო არ იყოს, არა, სპეციალისტები, თუ გინდ ისინი უცხო ქვეყნისა იყვნენ, ჩვენთვის საჭირო არიან, მაგრამ მათი სპეციალობა ჩვენ იმდენად უნდა გამოვიყენოთ რამდენადაც მათი მოღვაწეობა ჩვენში არ იქნება მიმართული საქართველოს სუვერენობის წინააღმდეგ. დიდ, უცხო ქვეყნის სპეციალისტებმა იმოღვაწეონ ჩვენში, ისინი ჩვენ დიდის მადლობით უნდა მივიღოთ, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის აზრი თითქოს შესაძლებელი იყოს ქართულ ენის არა მცოდნე პირთა საქართველოს ადმინისტრატიულ აპარატებში გაბატონება. საქართველოს ყველა კუნჭულში, ყოველნაირ საპასუხისმგებლო ადგილებზე უნდა იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც ესმით ქართული ენა და შეუძლიათ პატივისცემით მოეპყრან საქართველოს სუვერენობას და მის დამახასიათებელ ატრიბუტებს. და თუ ეს შეიძლება ითქვას საზოგადოთ, შესაძლებელია ითქვას ფარმაცევტიულ განყოფილების შესახებაც.

საქართველოში ფარმაცევტიულ განყოფილებას უნდა მეთაურობდეს ქართული ენის მცოდნე პირი. ამას მოვითხოვთ ჩვენ და ამაში ჩვენ მხარი უნდა დაგვიჭიროს კომუნისტმა ფარმაცევტებმაც.

მუშა ფარმაცევტი.

## კომინტერნის III-ე კონგრესი

(გაგრძელება)

ამერიკა და იაპონიის განვითარება ევროპის ხარჯზე.

ამერიკაში ნახშირის წარმოების გადიდება 10 პროცენტს აღემატება, ნავთის წარმოება კი გადიდდა ორჯერ. ამ ჟამად ამერიკის ხელშია მთელი ქვეყნის ნახშირის წარმოების 40 პროცენტი, მსოფლიო ტონნაჟის 30 პროცენტი, და 85 პროცენტი ავტომობილებისა. მაშინ, როდესაც მსოფლიოში თითო მომუშავე მოტორზე გადის 100 ათასი კაცი, ამერიკაში საშუალოდ 12 კაცზე მოდის ერთი მოტორი. თუ წინად ამერიკა იყო უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გამომგზავნი ბაზარზე, დღეს ის გადიქცა უმთავრესად სამრეწველო საგნების გამტანად. ამერიკაში დღეს დაგროვილია მთელ მსოფლიოში არსებული ოქროს ნახევარი რაოდენობა.

იაპონიამაც კარგად გამოიყენა ომის შედეგები. მრეწველობის განვითარებას იაპონიაში აქვს ხელოვნური და სიჯანსაღეს მოკლებული ხასიათი მაგრამ ამასთანავე საგრძნობლად გადიდებულია კადრი მუშებისა, რომელიც რიცხვით 2,4 მილიონს უდრის.

მრეწველობის მდგომარეობა სამოქალაქო ომის დროს რუსეთში.

ამერიკის სახელმწიფო მდივანის იუზის მაგვარი ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და ეკონომისტები ამბობენ, რომ მიზეზი რუსეთის მრეწველობის დაცემისა არ არის არც ბლოკადა და არც ომი[illegible], ეს სიცრუეა. წითელი არმია, თავის ენერგიის დაძაბვის პერიოდში, როდესაც მას უხდებოდა ოთხ ფრონტზე ომის წარმოება შედგებოდა რამოდენიმე მილიონი კაცისაგან, რომლის მეოთხედს შეადგენდა ნამდვილი კვალიფიციური მუშები. მეორეს მხრივ რუსეთის მთელ რიგს წარმოების დარგებს, როგორიც იყო ნახშირის, სპილენძ-სართავის, ქაღალდის, არ შეეძლოთ ნორმალურად ემუშავათ საჭირო ინსტრუმენტების უქონლობის გამო, რომელსაც რუსეთი არას დროს არ ქმნიდა იგი ყიდულობდა, უმთავრესად გერმანიიდან და ინგლისიდან. რომ იყოს ეს აღნიშნული ინსტრუმენტები რუსეთში, მაშინ მრეწველობა განვითარდებოდა ჩქარის ტემპით და გაასწრებდა ზავის დროის არსებულ მრეწველობას.

კრიზისი ძლიერდება.

ნაწილობრივი გამოცხოველებამ მსოფლიო ბაზრისა, რომელიც გამოიწვია 1919 წელს გაზაფხულში ზავის მდგომარეობაში გადასვლამ, ბურჟუაზიას მისცა თავის თავზე გადიდებული წარმოდგენა. მაგრამ ეს ბირჟის სიცხოველე და ადვილ ახსნილი სპეკულიაცია—იყო გაგრძელება ომის მიერ შექმნილ სპეკულიატიურ სამრეწველო დარგებისა. მრეწველობა ეცემა არა მარტო ევროპაში, როგორც ჩვენ ზევით დავინახეთ, არამედ ამერიკაშიაც. მრეწველობის კრიზი განვითარდა სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობის დარგები უმაღლეს წერტილამდის იყო განვითარებული, ე. ი. ამერიკაში და იაპონიაში. ამის მიზეზები იყო ყიდვითი უნარის დაკარგვა ევროპისაგან და სრული დავალი ნება უკანასკნელისა შეერთებული შტატების მიერ.

მსოფლიო ბაზარი სრულიად მოშლილი აღმოჩნდა.

კლასობრივი წინააღმდეგობის გაძლიერება.

მრეწველობის პირველად გადიდება ომის დასრულების გამო და შემდეგ კი მისი კრიზისი სრულებით არ ნიშნავს რევოლიუციის გაქრობას, თუნდაც რომ ვიფიქროთ, რომ ეს კრიზისი შეიძლება გახდეს კიდევ (დამახინჯებულია)... მრეწველობის განვითარების ეპოქათ. 1905 წლის რევოლიუციის დამარცხება შეუფარდდა, მრეწველობის კრიზისს რუსეთში. მაშინ როდესაც მრეწველობის გადიდებასთან ერთად 1908—1912 წ. მოხდა მუშათა მოძრაობის[illegible], რომელიც გამოიხატა ომის დაწყების წინა ხანებში ქუჩებში სხვა და სხვა გამოსვლებით. ამ ჟამად კლასობრივ წინააღმდეგობის ზრდასთან და მრეწველობის დაცემასთან ერთად, დაეცა აგრეთვე მატერიალური დოვლათის წარმოება, რის გამოც კლასობრივი წინააღმდეგობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. ეს კარგი მომასწავებელია რევოლიუციური მოძრაობის განვითარებისთვის".

მუშათა კლასი მსოფლიო ფრონტზე

ამ ჟამად ჩვენ გვაქვს არა მარტო განცალკევებული მუშათა კლასი, არამედ მთელი შეკავშირებული სხვა და სხვა მუშათა წრეები. პოლიტიკურ ტრადიციებით აღზრდილ მუშათა მოძრაობას, ემატება დიდი რაოდენობა მუშებისა — ქალები და ახალგაზრდობა, რომელნიც გამოიწვია წარსულმა ომმა საბრძოლველად. დიდი ხანი არ არის რაც ისინი გამოვიდნენ კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე. იმ მუშებთან ერთად, რომელნიც ხანდის ხან აჩვენებენ ზედმეტ სიფრთხილეს, გამოვიდნენ მუშათა წრეები გასხვავებულნი რევოლიუციონური ალტყინებით და შეტევის წყურვილით.

წვრილი ბურჟუაზია. ბურჟუაზიულ ქვეყნებში პოლიტიკური ბრძოლის სათავეში სდგას ტრესტების ირგვლივ შეერთებული მსხვილი ბურჟუაზია, შეუკავშირებელი წვრილი ბურჟუაზია აბსოლიუტურად გადატაკებულია, ეცემა სოციალურათ და ამგვარათ მსხვილი ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ არის გახრწნილი. თუ თავის ძალის გამაგრებასთან ერთად პროლეტარიატი მიიმხრობს წვრილ ბურჟუაზიას, მაშინ გადამწყვეტი ბრძოლის დროს ის დაიკავებს საშუალო პოზიციას. დიდი უმეტესობა გლეხობისა მთელ მსოფლიოში თითქოს გამდიდრდენ ქაღალდის ფულის სიმრავლის გამო, მაგრამ ფაქტიურად გაღარიბებული არის [illegible] მრეწველობის მიერ.

ბრძოლა მსოფლიო გავლენისათვის (დამახინჯებულია)... მიისწრაფიან სოციალურ რევოლიუციას. ამასთანავე ერთად მსოფლიო ომმა წარმოშვა მთელი რიგი პატარა სახელმწიფოებისა, რომელთა გაჩენის მიზეზი გიგანტური ორგანიზმების ხიერ მსოფლიოს გაყოფის შეუძლებლობა იყო.

დასკვნა. (გამოტოვებულია). ათავებს თავის ტეზისებს ამხ. ტროცკი, წარმოიშვება (დამახინჯებულია)... კომუნისტური პარტიიდან (დამახინჯებულია)... ის უნდა ედგეს მებრძოლ მასსებს სათავეში (დამახინჯებულია), უქვეებს ფორმულიროვკას (დამახინჯებულია). . ლოზუნგები ფართოდ ხმარობს კლასობრივ ბრძოლის სტრატეგიას. მოწინააღმდეგეთა შეტევის დროს ჩვენ უნდა შევადგინოთ მუშათა სხვა და სხვა წრეებიდან ურყეველი არმია. ბურჟუაზია მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგება რევოლიუციას და შემთანხმებელნიც ცდილობენ შეანელონ რევოლიუციის განვითარება (დამახინჯებულია)... კომუნისტებმა ყოველის მხრივ უნდა გამოიყენონ შესვენება, რომ გააღრმაონ და გააფართოვონ კლასობრივი წინააღმდეგობანი. კომუნისტური პარტია ქმნის ყველა მუშათა გამოსვლაში ერთობაში (დამახინჯებულია)... იგი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს დიქტატურის და სოციალური რევოლიუციის გზაზედ.

ამხ. ტროცკი ათავებს თავის სიტყვას ხანგრძლივი ტაშის ქვეშ, რომელსაც მას უმართავს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი.

## ახალი ამბები

— ქ. გამსახურდიას მოხსენება. ქ. გამსახურდია განაგრძობს თავის მოხსენებას: „გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე" შაბათს საღამოს 8 საათზე (ხოშტარიას სახლში) ხელოვანთა სასახლეში. დასწრება ყველას შეუძლია უსასყიდლოდ.

— კვირას, ივლისს, 3, დილის 11 ს. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილი ქართული კლუბის შენობა, დამფუძნებელი კრების ქ. № 5) დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1. გამგეობის მოქმედების 1920 წ. ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ. 3. 1921 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. 4. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

— გამგეობა მუშათა კოოპერატივ „აღორძინებისა" ამით აცხადებს რომ, კვირას 3 ივლისს, დილის 10 საათზე კოოპერატივ „აღორძინების" ბინაზე (ვერის დაღმართი № 12) დანიშნულია კოოპერატივ „აღორძინების" საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მუშათა კოოპერატივ „აღორძინების" გარდაქმნა ერთიან მუშათა კოოპერატივათ. 2) გამგეობის მოხსენება 1920 წლის მოქმედების შესახებ. 3) 1921 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება. 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1920 წლის ანგარიშების შესახებ. 5) გამგეობის, სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების არჩევა. 6) მიმდინარე საკითხები. კრება ათ საათისთვის თუ არ შედგა, ერთი საათის შემდეგ ჩაითვლება კანონიერად დამსწრე რწმუნებულთა რაოდენობის მიუხედავად.

— ახალი წიგნები. რედაქციას მოუვიდა „წ. ქ. გ. ს—ების" გამოცემა ორი ახალი წიგნი. 1) „სიმღერა მუსიკის სახელმძღვანელო" ია კარგარეთელისა და „ბუნების სკოლა" რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვის რედაქტორობით. ორივე წიგნი მშვენივრად არის გამოცემული.

— ევალება ყველა ექიმებს როგორც სამსახურში მყოფთ, ისე კერძო მომუშავეთ, რომ გადამდებ სენიან ავადმყოფისა, მეტადრე ხოლერიანის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ აცნობონ ქალაქის სადეზინფექციო კამერას (ამასთუნის და დროვიანოის ქ. კუთხე, დეზერტირის ბაზრის გვერდით, ტ. ლ. 1—72) ავადმყოფის გადასაყვანად და დეზინფექციის მოსახდენად. ამასთანავე საჭიროა შეატყობინონ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისათვის (განოვის ქუჩა № 22) სარეგისტრაციო ფურცლის საშუალებით მიღებულ წესით.

## რადიო

[illegible]

ნაუენი. ივნისის 26. [illegible] მთავ[illegible] საბჭოთა რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

რუსეთი და იაპონია

ლიონი. ივნისის 26. ლონდონის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ ჩიჩერინმა აცნობა მოკავშირეთ, რომ რუსეთი და იაპონია იმყოფებიან ურთიერთ შორის ომის მდგომარეობაში. პარიზის გაზეთი „მატენი" აღნიშნავს, რომ ამ ცნობას უნდა ფრთხილად მიუდგეთ, რადგან მოსკოვიდან მიღებულ რადიო-დეპეშებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. თავის სიტყვების დასამტკიცებლად „მატენი" იტყობინება, რომ იაპონიის საელჩოს პარიზში აქამდის არავითარი ცნობები არ მიუღია, რომლებიც დაადასტურებენ ლონდონის გაზეთის ცნობას.

## ყველა ელექტრონის სადგურების საყურადღებოთ.

იმ მიზნით, რომ ტფილისის ელექტრონის სადგურების მდგომარეობა ყოველ მხრივ გამოკვლეული და გაშუქებული იქმნას, ქალაქის სტატისტიკურ განყოფილება შეუდგა მათ აღწერას.

ამიტომ ვავალებ ელექტრონის სადგურთა ყველა მმართველებს:

1. ხუთი დღის განმავლობაში, დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა წარმოადგინონ სტატისტიკურ განყოფილებაში (შტაბის და სასახლის ქუჩ. კუთხე, მესამე სართული) შევსებული საანკეტო ფურცლები რომლებსაც მიიღებენ სტატისტიკურ განყოფილებაში.
2. ცნობები საანკეტო ფურცლებში უნდა იქნას შეტანილი სრულიად სწორი.
3. ამ განკარგულების დამრღვევნი სასტიკათ დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის წესების მიხედვით.

ტფილისის ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე
ა. გეგეჭკორი.
სტატისტიკურ განყოფილების გამგე
ა. რუხაძე.

რედაქტორ[illegible]
გამომცემი [illegible]

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
ოლღა ხოშტარია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.
კალისტე ჩიჩუას სახლში. 1047

კბილის ექიმმა
აპოლონ ურუშაძემ
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად ხიფილისი (914 და 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუსხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

შინაური—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № [illegible], ბინა 2. 38

ქალ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
საზაფხულო განმეორებით გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მიმართეთ: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081